სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01.05.04/251

ქ. თბილისი 20 სექტემბერი 2018

დამატებით სემესტრში სასწავლო კურსის/კურსების განმეორებით გავლის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის №20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, ი. გაბისონიას თხოვნა და სწავლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, თ. წერეთლის შუამდგომლობა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებმაც 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში (დამატებითი სემესტრი) ვერ ჩააბარეს აღებული სასწავლო კურსი/კურსები, მიეცეთ 2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში (დამატებითი სემესტრი) სასწავლო კურსის/კურსების განმეორებით გავლის უფლება.
2. სტუდენტებთან გაფორმდეს შესაბამისი სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებები;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6)

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე